



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 6
07/06/2017

6-06-4-201706071828



დადგენილება №6 2017 წლის 7 ივნისი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №27
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

1.შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/01/2017/ წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016280)და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელის ნაწილში **823 716 ლარით**:

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში გრანტები **823 716 ლარით**

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის #588 განკარგულებით „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები“-ს ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **823 716 ლარი**. მათ შორის:

ა) აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების განსახორციელებლად - 823 716 ლარი;

შემცირდეს:

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის ანაზღაურება დანამატის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 01 02 – 2.1.1.1.4.) – 2 650 ლარით;

გ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 03 02 04 – 61.1.1.11.) – 160 000 ლარით;

დ) დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი - 06 02 04 – 2.7.2.1.) – 1 000 ლარით;

ე) მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი - 06 02 05 – 2.7.2.1.) – 5 000 ლარით;

ვ) თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი - 06 02 08 – 2.7.2.1.) – 2 000 ლარით;

ზ) უსინათლოთა ერთჯერადი დახმარება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი - 06 02 10 – 2.7.2.1.) – 1 000 ლარით;

თ) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება, სხვადასხვა კაპიტალურტი ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 06 02 15 – 2.8.2.2.) – 6 000 ლარით;

ი) სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი - 06 02 16 – 2.7.2.1.) – 15 000 ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს:

კ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, თანამდებობრივი სარგო (ორგანიზაციული კოდი - 02 02 – 2.1.1.1.1.) – 2 650 ლარით;

ლ) თვითმმართველი თემი-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ.- „მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 03 02 03 – 2.5.) – 823 716 ლარით;

მ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 03 07 – 2.8.2.2.) – 160 000 ;

ნ) „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი - 06 02 07 – 2.7.2.1.) – 10 000 ლარით;

ო) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 06 02 11 – 2.5.) – 20 000 ლარით;

სულ გაიზარდოს 823 716 ლარით

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო